№ 192

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 192

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**დავით ავალიშვილი, მოწაფე სათავად-აზნაურო სასწავლებლისა,** სთხოვს ნათესავებს და გულის შემატკივართ დახმარება აღმოუჩინონ სწავლის გასაგრძობად, რადგანაც ფულის შეუტანლობისა გამო იგი დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდგან.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, საიფოვის სახლი, № 24.

ტფილისის ქალაქის საბჭო ამით აცხადებს, რომ ვერის ხიდზედ ეტლით გამვლელთ ფულის მიღების შემდეგ ხარჯის მკრეფავის მიერ მიეცემათ ბილეთი, რომელიც უნდა შეინახონ, ვიდრე ხიდს გავიდოდნენ, საიდაც დაუბრუნებენ მეორეს, ხარჯის მკრეფავს.

შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის სურათები ისყიდებიან:

ყველა წიგნის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, საცა ზემოხსენებული სურათები დაიბეჭდნენ.

შოთას სურათი ღირს ერთი აბაზი, —კარდონზედ ხუთი შაური.

ი. ჭავჭავაძის სურათი ღირს ხუთი შაური, კარდონზედ—ექვსი შაური.

ვინც ქალაქ გარეთ გაიწერს არა ათზედ ნაკლებს ფას დადადებით, დაეთმობათ ყველა სურათები ორ-ორის შაურით ნაკლებ ფასათ.

ჩემი ადრესი: ჩუღურეთი მაკა თოძესი'

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9— საღამ ოს 4—7თააა უდმსე დ .

ბ ნის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით გავხსენი

**სასწავლებელი პანსიონით**

**მ. ა. კარამასკოვ.**

ყმაწვილების მიღება დაიწყება ორის სექტემბრიდგან.

ნიკოლოზის ქუჩა № 23

(4—1805—4)

# ახალი ამბავი

—

*** საქველ-მოქმედო საზოგადოების წესდების განსახილველად უკანასკნელი კრება დანიშნულია კვირას, 10 სექტემბერს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში.

*** საუფლისწულო უწყების უფროსი თავადი ვიაზემსკი, როგორც შევიტყეთ, შუა ამ თვისათვის ჩამოვა რუსეთიდგან ტფილისში.

*** 8 სექტემბრიდგან ტრამვაის სიარულის წესი შეიცვლება. ვინც შაურიანს ბილეთს აიღებს ერევნის მოედანზედ, ამ ბილეთით შეეძლება რკინის გზის სადგურამდე წასვლა, აქამდე კი მხოლოდ ვარანცოვის ძეგლამდე შეეძლო მისვლა. ამგვარადვე რკინის გზის სადგურთან აღებულის შაურიანის ბილეთით ერევნის მოედნამდე შეეძლება მოგზაურობა. ამას გარდა, ოლგას ქუჩიდგან მიხეილის ქუჩის კუთხამდე სამი კაპ. ბილეთები გაიყიდება. პირველის ფას-დაკლებულის ბილეთით მხოლოდ იმათ მიეცემათ სარგებლობის ნება, რომლებიც ვაგონიდგან არ გადმოხტებიან და ერთის ვაგონით წავლენ. ამგვარად პირველს შემთხვევაში ტრამვაის გამგეობას მოგზაურობის ფასი შეუმცირებია, ხოლო მეორე შემთხვევაში ის კარგი წესი შემოუღია, რომ ხშირად ოლგას ქუჩიდგან მიხეილის ქუჩამდე წამსვლელ-მომსვლელი იძულებული იყო შაურიანი ბილეთი აეღო, ისე, როგორც ოლგას ქუჩიდგან მუშტაიდის ბაღამდე წამსვლელები იღებდნენ, და ეხლა-კი ამ გზას 3 კაპ. გაივლიან.

*** რედაქციამ მიიღო «კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების» მიერ გამოცემული წიგნი: «მოკლე დარიგება აბრეშუმის ჭიის წესიერ აღზრდაზედ», ი. ბოლლესი. აგრონომის ვ. გეევსკის რუსულ თარგმანიდგან გადმოღებული ნ. ავალიშვილისაგან. (2 სქემა სურათებითა) გამოცემა მეორე. წიგნი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ, შეიცავს 37 გვერდს, და ჩართული აქვს სურათები.

*** 5 აგვისტოს, ღამით, პოლიციის მეხუთე ნაწილში თავად მუხრან-ბატონის სახლებში გასტეხეს ერთის მეთუნუხის სადგური, საიდგანაც გაიტანეს ქვეშსაგები და სხვა ნივთები, სულ თორმეტ მანეთად ღირებული.

*** «კავკაზს» შეუტყვია, რომ კავკასიის სამოსწავლო მმართველობის ნებართვით მალე დაარსებულ იქნება ორი სასოფლო სკოლა ტფილისის გუბერნიაში: გლდანსა და ლაგოდეხში. ამ სკოლების შესანახად გარდადებულია % თანხისა, რომელიც ტფილისის გუბერნიას უანდერძა მასლოვმა.

*** ჭიათურა: ორს ამ თვეს დიდის ამბით გააცილა აქაურმა საზოგადოებამ პატივცემული და ყველა აქაურისათვის ერთგვარად საყვარელი ინჟენერი გიორგი გ. დეკანოზიშვილი, რომელსაც საკმაოდ დიდი სამსახური მიუძღვოდა ჩვენის საზოგადოების წინაშე. აქ ყოფნის დროს ბ-ნმა დეკანოზიშვილმა გაგვიკეთა სამაგალითო წყარო, მისის მეცადინეობით დაგვიარსდა აქ სკოლა და საზოგადოდ ერთობ გულშემატკივრობით ეკიდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ყოველგვარს გაჭირვებას.

*** გაგკავი: აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ცოტა არ არის აცივდა, რამაც ძლიერ შეაფიქრიანა სიმინდის მთესველნი, ვაი თუ დაგვიზრესო. ეხლა-კი ისევ მშვენიერი თბილი დარები დაიჭირა და, თუ ცოტა ხანსაც ასე განეგრძო, იმედია წრეულს კარგი მოსავალი იქნება სიმინდისა.

*** სოფ. ახალქალაქი, (ქარელი): რა ხანია აქ „მუცელა" მძვინვარებს. ისე დღე არ გავა, 2—3 ბავშვი არ იმსხვერპლოს, მაგრამ ვინა გვყავს გულის შემატკივარი. რაღაც დიდი რამ უნდა მოხდეს, რომ მაზრის ექიმი რამდენიმე წუთით ვნახოთ, უამისოდ-კი იმისი ნახვა ყოვლად შეუძლებელია.

# ფელეტონი

—

**ტიტო კეთილაძე და ვასკა გადარჯულებული.**

ერთს მეტის-მეტად ჯოჯოხეთსა და ჭინჭყლიანს ღამეში, როცა ძაღლიცკი გარედ არ გაიგდებოდა, ორმა ძალზედ დაჟანგებულმა თოფმა ჩქიფთედ (ტყუპად) გაიხმაურა ჰაერში და მით აუწყა საბჭოს მობინადრეთ ვასკას ამ ქვეყნად მოსვლა. როცა ხანში შესულმა ბებია ქალმა თავისს გამხმარს მკლავებზედ მიიღო ახალ-შობილი ვასკა, ამ უკანასკნელმა ისეთი საზარელი ჭყვიტინი ასტეხა, რომ ყველას აქ მოყურადეთ ძლიერის უსიამოვნობის ნიშნად შუბლი ნაოჭად შეეკრათ, გონება უნებურად ბავშვის მომავლისაკენ გაუქანდათ. „აგი ფარსაგი ვინმე გამოვა, თუ გაიზარდა", წასჩურჩულა ბებია ქალმა მეზობლის დედაკაცს, რომელიც ბავშვის გაბანებაში შველოდა იმას. მართლა და ბებია ქალის გულთმისნობა ჭეშმარიტებას მოკლებული არ დარჩა. ვასკამ პატარაობიდგანვე გამოიჩინა ჯერ კიდევ ოჯახში თავისი ფარსაგობა. რაც იმან ენა ამოიბა, მას აქეთ მოსვენება აღარ ჰქონდათ ამისგან მისს ძმებს, დებს და სახლის მოსამსახურეთ. ვასკა ყოველ ფეხის გადადგმაზედ უთვალ-თვალებდა ამათ და ყოველს მათს ცელქობას სახლის უფროსებს ატყობინებდა. ხან სულ უბრალოზედ აბეზღებდა ხოლმე პატარა ცელქებს. მაგალითად ხშირად შეშინებულის ხმით ეუბნებოდა ის მშობლებს: „ვანომ ჯოხის წვერით სულ მოხაზა ჩვენი წყლის პირად გაშლილი ქვიშა. მაშომ ცხვირსახოცი თავის სახედ გამოსკვნა, ზედ ძაფი მოაბა და მთელს საათს უფეთქებდა ჩვენს კატას, რომელიც ხან აქეთ აწყდებოდა და ხან იქითაო". მშობლები ამ შემთხვევაში ხარხარს ასტეხდნენ და სასაცილო მაბეზღარი გაბუტვით დაუწყებდა ცქერას თავისს ამ ქამად უმადურს მშობლებს. მაგრამ უნდა გენახათ რა წარმოუდგენელს ნეტარებას გრძნობდა, როცა ამის მზვერაობა ნაყოფს მოიტანდა და მის მიერ დაბეზღებული პატარა ბრალდებულებს თმაში ხელს ჩაავლებდნენ სახლის პატრონები. ვასკა თვალებ გაბრწყინვებული, მოღიმარი, ბოლომდის უცქეროდა ამ სურათს და, როცა ნაცემი ძმა ან და სახლის ოლამფაროში აეტუზებოდა ჭ ქვითინს აუკიდებდა, ვასკა მიირბენდა და ნიშის მოგებით ეტყოდა: „ჰმ! ისე უნდა შენისთანა მოუსვენარს"!

დიაღ, ასეთი უამი იყო ვასკა ტოლებისათვის, მაგრამ რაც განსაცდელი ამისაგან შინაურს წვრილ-ფეხობას ადგა, სწორედ ორი იმდენი თითონ ვასკას სჭირდა კარის მეზობლის ვაჟის ტიტოსაგან. ეს უკანასკნელი იხელებდა თუ არა სადმე ენატანია ვასკას, შეიდებდა ქვეშ და ერთს ლაზათიანად მიბეჟავდა და მერე კიდევ ისე ახერხებდა ამას, რომ ერთხელ თუ დაისჯებოდა ამგვარის საქციელისათვის, ათჯერ მაინც შერჩებოდა ვასკას მიბეჟვა. თქმულის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ლხინი შეუდგათ ვასკას დებს, ძმებს და სახლის მოსამსახურეთ, როცა გაიგეს, რომ მათი შეუბრალებელი მტარვალი ერთს მახლობელს მაზრის სასწავლებელში მიუღიათ და ორის დღის შემდეგ ის მამას ქალაქში უნდა წაეყვანა. როცა ვასკა ბარგ-აკიდებულს ცხენზედ შესკუპდა და თავისს ეზოს ჭისკარი გაიარა, მაშომ ერთი თავისუფლად ამოისუნთქა, მხიარული შებრუნდა ოთახში და გაუფრთხილებლად წარმოსთქვა: „ცოცხალიც არ მოსულხარ იქიდგანაო", რისთვისაც ერთხელ კიდევ მიბეჟა დედამ, რომელმაც ყური მოჰკრა ამის წყევლას.

სანამ ვასკას სასწავლებელში მივყვებოდეთ, საჭიროდ ვსთვლი ამის ძველები გავაცნო მკითხველს ორიოდე სიტყვით. ვასკას მამა, გიორგი სკურდუბაძე, მოდგმით ქართველი, მეტის-მეტად ანგარიშის მოყვარე კაცი იყო და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ ცხოვრების სუფრაზედ რაც შეიძლებოდა ფართო ადგილი სჭეროდა. მისი საყვარელი ანდაზა იყო: რა სოფელშიაც შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეო, და, მართლაც, ასე იქცეოდა თავისს სიცოცხლეში. შენთან შენი იყო და სხვასთან სხვისი, ყოველ ჯურის კაცს უახლოვდებოდა ხოლმე და ყველას ნაცნობობას თავისს სასარგებლოდ გამოიყენებდა. ორჯელ რჯულიც-კი გამოიცვალა და სამჯერ სხვადა-სხვა დაბოლოება მოაბა თავისს გვარს იმის მიხედვით, თუ რა დროს რომელი ხალხის უფრო ძლიერს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ამისი სამშობლო. პირველად სკურდუბ-ოღლათ იწოდებოდა, შემდეგ, რაღაც ანგარიშით, სკურდუბიანცად ისახელებდა თავს და, როცა ჩვენში ძლიერი რუსეთის მმართველობა დამყარდა, სკურდუბიხინათ გამოაცხადა თავი და ამგვარად „იხინით" დაბოლოვებული გვარი და მეტად საეჭვო მართლ-მადიდებლობა გადასცა თავისს შვილს დიდძალ ქონებასთან ერთად. შვილს არაფრით არ უსახელებია თავი და მხოლოდ ის იმედი წაიღო თან, რომ მისი საყვარელი ვასკა უეჭველად გაიმეორებდა გვარში პაპა მისის ფარსაგობას.

ასე, ჩემო მკითხველო! ვასკას მამამ, რა-კი შვილი სასწავლებელში მიაბარა, ქალაქში სიარულს მოუხშირა და ერთის ამგვარის მგზავრობის დროს გაცივდა და თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ თან ის იმედი გაიყოლია, რომ შვილი უეჭველად გაიტანდა ცხოვრებაში თავს, რადგან საიმისო ნიშნები კიდევ ბავშვობაში ეტყობოდა და არც გასცრუებია მშობელს ეს იმედი: ვასკა შეიფერა ჩვენმა ცხოვრებამ. კარგა მოზრდილი სამკვიდრო ვასკას ნებას აძლევდა, რომ მაღალს სასწავლებელშიაც-კი დაემთავრებინა სწავლა, მაგრამ ღვთისაგან ბოძებულმა ნიჭმა საშუალო სასწავლებლის სიბრძნესაც-კი მთლად ვერ დასძლია. ვასკამ თვისი ფარსაგობა ოჯახიდგან სკოლაში გადმოიტანა. ბევრი ნიჭიერი მოსწავლე გამოესალმა სწავლას ამის წყალობით, ბევრს სინათლის მაძიებელს გამოეკეტა ცხვირ-წინ სასწავლებლის კარი. „ავი ძაღლი არც თითონ სჭამს, არც სხვას აჭმევსო", ნათქვამია და ვასკასაც სწორედ ასე მოსდიოდა. ამის მეტად ჟანგიანს გონებას ვერ გაესწორებინა თვალი სწავლის ძლიერ შუქისათვის და თუ ვისმეს ღვთაებრივის მადლით აღბეჭდილს შენიშნავდა, შურით სქდებოდა და ყოველს ღონის ძიებას ხმარობდა უფროსთან როგორმე გაეშავებინა ნიშანში ამოღებული ამხანაგი. უნდა ვსთქვათ, რომ მას ცოდნა კი არა, ამხანაგების კარგი სწავლის ნიშნები უკარგავდა მოსვენებას და უბედურებაც ის იყო, რომ ვასკას ნიჭით ამგვარი ნიშნების მიღება ადვილი არ იყო. „ვასკა, შენი თავი სპილენძისაგან თუ არის გაკეთებული?" ეკითხებოდნენ ამხანაგები, რომელთაც მასწავლებელი ავალებდა ვასკასთვის ეხსნათ ის, რაც თითონ მასწავლებელს ვერ ჩაეგონებინა ამისთვის. „ნამდვილად პიფაგორი გამოვა", ეუბნებოდა რომელიმე კვიმატი ამხანაგი და თან თითებს ჩაურახუნებდა თავში ვასკას, რომელიც გეომეტრიის ფიგურებს ჩაჰკირკიტებდა და სრულიად შეუფერებელის ხაზებით აჭრელებდა დაფას. ვასკა მივარდებოდა ამგვარს დამცინავს და ერთიანად დაჰკბენდა. „თავი თუ სუსტი აქვს, კბილები ხომ ღონიერი აქვს." ოხუნჯობდა ამ შემთხვევაში დაკბენილი ამხანაგი, რომელსაც ტოლის დაბეზღება აზრადაც არ მოსდიოდა. ღვთის წინაშე უნდა ვსთქვათ, რომ საკუთარს შეურაცხყოფას ვასკაც ხშირად მოითმენდა, მაგრამ თუ ვისმეს მასწავლებლის ძვირის ლაპარაკში მოასწრებდა, ან სასწავლებლის წესის მცირეოდენს დარღვევაში, ვაი იმისი ბრალი!

ღვინის მოსავალს წრეულს სრულებით არ მოველით. ღამის ძნაც გაულეწავი დაგვრჩეს, ისეთი დარები დადგა.

*** ს. სალხინო: ს. ვანში 24 აგვისტოს თავი მოიკლა თოფით მიხეილ მაჭავარიანმა. ეს კაცი იყო 70 წლისა და ყველა იცნობდა პატიოსან და ღვთის მოშიშ კაცად. თავის მოკვლის მიზეზი არავინ იცის. ეს-კი ვიცით, რომ სიღარიბე არ აწუხებდა; უშვილო კაცი იყო და შეძლება გვარიანი ჰქონდა.

## კორესპონდენცია.

**სიღნაღი:** კანონმა აღაგმა ფულის პატრონების თავ-გასულობა და ფულის გასესხებაში ჯეროვანის პროცენტის აღება დააკისრა. მაგრამ ჩვენ სიღნაღელ ხომხებისათვის ეს კანონი მხოლოდ სიტყვით არსებობს, ისინი იმისთანა სარგებელს იღებენ, როგორიც თვითონა ჰსურთ და რომ მართლ-მსაჯულებამ სასჯელში არ მისცეს ისინი, შემდეგს ხერხსა ხმარობენ: ფულს ასე ხებენ ვადით და სარგებელსა და თავნს ერთად ანგარიშობენ. ამასთანავე უწერენ ორჯელ მეტს „ნეუსტოიკას“. ფულის ვალად აღები მომეტებული ნაწილი გლეხობაა. ისინი ვალში წლის მოსავალს აძლევენ. აქაც საწყალი გლეხი მთლად ფულის პატრონის ხელშია. იგი იმისთანა ფასს ადებს საქონელს, როგორც თვითონ უნდა. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში საწყალმა გლეხმა. ან მას უნდა მისცეს თავისი ნაოფლი ბზის ფასად ვალში, ან მისსავე ამხანაგს ამავე ფასად. წელს ქიზიყის სოფლებს სახელმწიფო ხარჯი მოემატათ და მით ფულის პატრონებსაც ერთი ორად გაუფართოვდათ სათარეშო ასპარეზი.

როგორც გავიგეთ, დღეს ქიზიყს სიღნაღის მაზრის შემნახველ კასსაში პურის მაღაზიებიდგან შეძენილი ფული აქვს 150,000 მანეთზედ მეტი. ხმა დადის, რომ ტფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს, სადაც ჯერ არს, ამ ფულიდგან ქიზიყის სოფლებს სასოფლო ბანკი გაეხსნათ.

თუ ეს ასე მოხდა, მაშინ აილაგმება აქაური ფულის პატრონების თავგასულობა, ისე, როგორც მაჩხაანში დეპომ კბილი მოსჭრა სოფლის წურბელა-ჩარჩებს.

რაზმაძე.

—

**საჩინო.** ჩვენს მიყრუებულ კუთხეში ყოველივე თვალსაჩინო მოვლენაც-კი მიყრუებულად რჩება. მეთვალყურე არავინა გვყავს, ყველას დავიწყებული ვყევართ და ჩვენ-კი არა ვართ იმდენად გულ შემატკივარნი ჩვენსავე ავ-კარგიანობაზედ, რომ „უაპეკუნოდ“ რამ ვუშველოთ თავსა! თუმცა ყველანი ვგრძნობთ ჩვენს არა სანატრელ მდგომარეობას; მაგრამ გულშივე გვაქვს ჩამარხული, თითქოს თქმის უფლებაც მოგვსპობოდეს. ან თქმითაც რა გამოდის; ნათქვამია: «ჯოჯოხეთში ძახილია, გაგონება არსით არის», — ამისი არ იყოს, რაც უნდა ვიყვიროთ «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა» რჩება. მაგრამ მაინც ვსთქვათ. აგერ სამი წელიწადია, რაც იარმუკის დაარსებაზედ ვყვირით (საჩინოს შუაგულ სოფ. ვანში) განაჩენებიც ბევრი დავწერეთ, „პორტოკოლებიც“ და „ატკებიც“, ხელიც მოვაწერეთ, კიდევაც წარვადგინეთ, სადაც ჯერ იყო; მაგრამ ჩვენს სურვილს არც „არათი“ და არც „კით“ დასასრული არ მიეცა! ამბობენ, უმაღლეს მთავრობას ეს ჩვენი თხოვნა, ცოტა რამეების შესავსებლად, ადგილობრივ პოლიციის ბოქაულისათვის დაუბრუნებია — შეჰკრიბე ცნობები და მალე მომახსენეო; მაგრამ წელიწადი სრულდება და ჯერ არც-კი გაუხსნიათ უმაღლესის მთავრობისაგან მიღებული „კონვერტი“ იარმუკის თაობაზედ. ისე მიყრუვდა ეს საქმე, როგორც მიყრუებულია თვით საჩინო! დავიწყების მორევში ყურყუმელაობს; „აპეკუნი“ რომ გვყავდეს, ხომ გამოეკიდებოდა ამ საქმეს და იქნება სამუდამოდ არ მიყრუებულიყო! ჩვენისთანა „ობლებისათვის“ იარმუკა რომ ძლიერ სასარგებლო საქმეა, ამას დამტკიცება არ უნდა. — დიდი ხანია ვგრძნობთ და ვკნავით კიდევაც, რომ ამ ჩვენ კუთხეში არამც თუ ექიმი (სპეციალისტი) ფერშალიც არა გვყავს; რომ ეს ჩვენი მიყრუებული კუთხე დიდად საჭიროებს საავადმყოფო სახლის დაარსებას, რადგან ყველა ამისთანა ადგილს, საიდამაც შეიძლება გაჭირვების დროს ექიმის მოყვანა, მოწყვეტილნი ვართ უგზო-უკვლობით. ყოველ მაზრაში ორი-სამი საავადმყოფო სახლია დაარსებული და ერთი ამ ჩვენ საწყალ საჩინოსაც შეხვედროდა წილში. ამბობენ, ვითომც ქუთაისის მაზრაში ორ ადგილს იხსნება საავადმყოფო სამტრედიას და ხონშიო! „ვისაც ჰქონდეს, მიეცეს და მიემატოს“. ამ წინა კვირაში ერთ აზნაურს ცოლი გაუხდა მძიმედ ავათ ძეობით. საცოდავი სანახავი იყო ავადმყოფი, ექიმი ჩვენში აბა სად იყო. გაგზავნეს ქუთაისში კაცი ექიმისა და ბებიის (აკუშერკის) მოსაყვანად, როგორც იყო მესამე დღეს მოიყვანეს და გაჭირვებით სიკვდილს ბრჭყალებიდგან გამოსტაცეს ქალი. ამათი მოყვანა ექვსი თუმანი დაუჯდა ხსენებულს პირს. მოგეხსენებათ ჩვენი „ავლა-დიდება, ექვსი თუმანი ისე ადვილი საშოვნელი არ არის. ან ცხენი, ან ხარი უნდა გაყიდოს კაცმა, ან ადგილი, რომ იშოვოს და შენს საჭიროებაზედ ვერც-კი გაჰყიდი! შეიძლება ამისთანა ექიმის მოყვანა ერთსა და იმავე ოჯახში სამჯერ-ოთხჯერ შეხვდეს წელიწადში. ეხლა ეს მიბრძანეთ: სამტრედიელს და ხონელს უფრო გაუძნელდება საჭიროების დროს ექიმის მიყვანა, თუ საჩინოელს? — მაშ თუ მართალია, იმ ორ ადგილში საავადმყოფოს დაარსება დიდი უსამართლობა იქმნება, რომ „გამძღარს კაცს კიდევ საჭმელს აძლევდნენ და მშიერი-კი შიმშილით სულსა ჰლაფავდეს“! მაგრამ „აპეკუნი“ რომ გვყავდეს, ვინ იცის აგებ ობლებისაკენაც გადმოაჰქცტოს სხივები მზემ!

დიდი ხანია, რაც დღე და ღამ, სტუმარსა და მასპინძელთან უგზო-უხიდობას ვჩივით. ბევრჯელ „ქუდმოხდილი“ ვსთხოვეთ ჩვენში (საჩინოში) სტუმრად მოსულთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ბოქაულისა და მისის «პოპოშნიკისადმი», ხომ ანგარიში არ არის, — რომ ყურადღება მიექციათ გზებისა და ხიდებისათვის; მაგრამ „ჯოჯოხეთში ძახილია, გაგონება არსით არისო“, აქაც „აპეკუნია“ ობლებისათვის საჭირო! სოფლის მამასახლისები რას აკეთებენ? ამათ სადა სცალიანთ გზა-ხიდებისათვის, ყოველ დღე „ატკ-პორტოკოლები“ აქვთ საწერი სხვა-და-სხვა „უგოლოვნის“ საქმეებზედ. ესენი უფრო მათ პატივ საცემ „მეს“ ემსახურებიან და სიტყვა «ჩვენ» მათ დავთარში არა სწერია.

ასე ამრიგად ჩვენ, საჩინოელები, ყველასაგან მივიწყებულნი ვართ, როგორც უპატრონო „ობლები“! „აპეკუნი“ არა გვყავს, რომ იზრუნოს ჩვენთვის ვინმემ და ისრე ვის შესტკივა გული ჩვენს ავ-კარგიანობაზედ.

ნეტავი რას მოქმედებს საზოგადო კეთილ-წარმატებისათვის სოფლის ინტელიგენცია, რომელთა დასს ეკუთვნიან მღვდლებიც? ამათზედ შემდეგ. ეხლა-კი ორი სიტყვით მოგახსენებთ: „ისრე სქელდება მათი ჯიბეები, როგორც მელქოს მუცელი“.

თეონა.

—

**კაკაბი.** მკითხველს მოეხსენება, რომ 1888 წ. გველეთელი ქისტები გადაასახლეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მიზეზი ამ გადასახლებისა, როგორც ამბობენ, ყოფილა შემდეგი: საქართველოს სამხედრო გზაზედ ხშირად ხდებოდა და ხდება კიდეც სხვა-და-სხვა ავკაცობა, ძარცვა-გლეჯა, ფოსტაზედ დაცემა და სხვა. ყველა ეს ჰბრალდებოდათ გველეთელ ქისტებს, როგორც გზის პირას მცხოვრებლებს. მთავრობამ რომ ვერაფრით ვერ მოსპო ეს ავკაცობა, გარდასწყვიტა სხვაგან გარდასახლება გველეთელებისა, იმ იმედით, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა... ქისტებს ძალიან ეძნელებოდათ დატოვება თავიანთის სამშობლო მთებისა, რომლებთანაც ისე იყვნენ შეზრდილნი, როგორც მშობლის ძუძუსთან. გაიმართა მიწერ-მოწერა, თხოვნების გზავნა, მაგრამ ვე-

---

ამ შემთხვევაში გასაშტერებელს მსაოზრებას იჩენდა ყველაფერში უნიჭო ვასკა და საქმეს ისე დააყენებდა, რომ რწყილს აქლემს აშობინებდა. სწავლას არავითარი სასიკეთო ზედმოქმედება არ ჰქონდა ვასკას ხასიათზედ და მხოლოდ ახალს საზრდოს აძლევდა ამის ფარსაგობას, უფრო ვრცელ სარბიელს უშლიდა მის ვერაგობას. ვასკას კარგა ხანი დააყოვნდა სასწავლებელში; ამის ძალზედ გამოყრუებულს, ათასის შავი ფიქრებით სავსე თავზედ თმამაც-კი ითაკილა ყოფნა და საშუალო სასწავლებლის უკანასნელს კლასში სრულიად გამელოტებულს მოასწრო მას მისმა მეზობელმა ტიტო კეთილაძემ, რომელმაც სხვა-და-სხვა შემავიწროებელ გარემოებათა წყალობით ხუთის წლით გვიან დაიწყო სწავლა. ვასკამ ბევრჯელ მიიტანა იერიში ამაზედაც, მაგრამ საქმე იმით გათავდა, რომ ტიტომ სამაგალითოდ დაასრულა სასწავლებელი, ვასკამ-კი მხოლოდ აქ ყოფნის მოწმობა გამოიტანა და ერთ მშვენიერს დღეს ქალაქმა დაუბრუნა სოფელს ორი ახალგაზდა, ერთს მოჰქონდა საკმაოდ განვითარებული გონება და თავის ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე გული, — მეორეს-კი საგამცემლო პლანები და გულის მაგივრად მეტად ბასრი კბილები. ორთავეს ღვიძლი ერის ბეჩავობა იზიდავდა სოფლისაკენ, ორთავეს სამშობლოს დანახვაზე ძალზედ აუტოკდათ გული, მაგრამ მათი გულის მოძრაობის მიზეზი-კი სულ სხვა-და-სხვა იყო. ტიტო სამართლიანად ფიქრობდა, რომ ყოველივე მარცხი და უბედურება ღვიძლი შვილია იმ უკუნეთისა, რომელსაც მისის მშობელი ერის გონება მოუცავს და სურდა თავისი ძალ-ღონე უკან ჩამორჩენილ მოძმეთა სამსახურში ეცადა, მათი გზის მაჩვენებელი ყოფილიყო, ერთი სიტყვით ჩაგრულთა სარჩლი განეზრახა და ყველაზე მეტი დაბრიყვებულიც საბეჩავოში ეგულებოდა. ვასკას ბასრი კბილები სახრავ მასალას ეძებდნენ და დაუსჯელად სოფლის თლასაც თვით საბეჩავოს წყვდიადი ჰპირდებოდა. დღეს ორივე საბეჩავოში მოქმედებს. ერთი შეიკედლა საბეჩავოს ცხოვრებამ, მეორეს-კი სიცოცხლეს ანანებს. ვასკას საკმაოდ ფართო ადგილი დაუთმო ცხოვრების სუფრაზე, იმ დროს, როცა ტიტოს ლუკმა პური დაანატრა. პირველი სულ ფაცი-ფუცშია, საქმეებს ვერ ასდის, მეორეს-კი ფეხი ვერ მოუკიდებია აქაურის ცხოვრების ნიადაგზე და გულზე სკდება, რომ იმდენს ვერ შველის სოფელს, რამდენსაც გული ეწევა.

„ნეტავი როდის ართმევს სოფელი ძილს თავისს თავს? სადამდის იქნება მშიერ-ტიტველი ის, ვინც თავის ოფლით სხვებს ჰკვებავს და მოსავს? სადამდის იქნება სათნოება, სინდისი, ჭეშმარიტება ასე ფრთხალი და გაუბედავი? სად არის, წყვდიადო, შენი დასასრული.“ ეკითხება ტიტო თავისს თავს და სულით ობოლს პასუხი არსაიდგან ესმის. ისევ განწმენდილი გული ამხნევებს მას ცოტათი. „უმსხვერპლოთ ქვეყანა ვერ გაიხარებს. თავ-განწირვა არის საჭირო. სანამ ძალღონეს ვგრძნობ, ვივლი ერთხელვე არჩეულის გზით. იმდენს მაინც შევძლებ, რომ სხვას ფეხი არ დავაბიჯო და ესეც დიდი მადლია ამ უბედურს დროში, როცა ძლიერს სუსტისათვის ფეხი ვერ აუქცევია, როცა ერთი მაღლა-მაღლა მიცოცავს მარტო იმისთვის, რომ ათასი სხვა უმცროსნი საფეხურად გაიკეთოს. ამას გარდა თუ რამდენსამე უმეცარს თვალს ავუხელ, მაშინ ხომ უქმად არ ჩამივლის ეს განწირული სულის კვეთება. ჩემს შემდეგ სხვა ივლის ამ გზით ჩემზედ გაბედული, უფრო ძლიერის იარაღის პატრონი და მეც უდროოდ გათხრილის საფლავიდგან მივცემ ხმას მათ გამარჯვებას“, ამბობს ტიტო და გულმოდგინედ აკეთებს იმას, რაც თანამედროვე ცხოვრებაში უფრო ნათელ საქმედ მიაჩნია. ვასკა სულ სხვა კილოზედ მღერის: „საძაგელი დრო დაგვიდგა, ლამის ყველა დარბაისლები და საქმის კაცები მგლების სახელით მოვინათლოთ. წინედ ტყავი რომ გაგეძრო სოფლისათვის, კაცი პასუხს არ მოგთხოვდა. განა ცოტა საჩივრები მიდიოდა ჩემზედ? იმდენი სიცოცხლე ვის უნდა! მაგრამ ამგვარი „კილაუზნიკებისათვის“ ტალახის უბრალოდ ზელა და როზგი იყო დიაღ, სამართლიანი განკარვულება. ეხლა ლუკმა ვერ გადაგიყლაპავს ისე, რომ ათასი ტიტო და მისგვარები ყელში არა გწვდეს: სამართლიანი ლუკმა არის თუ მონატაცებიო. რის სამართლიანობაო? რის ფლავი? კაცს ტვინი მაქვს თავში, საქმის კეთების უნარი მაქვს და შრომის ფასს ვლებულობ. ტიტოები თუ სიმშილით კვდებიან, ეს ასეც უნდა იყოს. ერთი მიბრძანეთ, რაში მოსახმარი ხალხია? ძმობა, ერთობა, ურთიერთშორის სიყვარულიო! უჰ, მეხი-კი დავაყარე ამათ თავზედ! ნეტავი რაებს ბოდავენ? მაგრამ იცით, რომ ზოგიერთს ჭკუაში მოსდის მათი ჰარტალი?! ამდენი მშიერი რომ ჩემ წინააღმდეგ გაითქვას, ხუმრობა ხომ არ არის?! სწორედ მეორედ მოსვლა იქნება! მანამდის გვერდი ნუ აუღიათ ტიტოებს! სიცოცხლეში ვერავინ დამძრავს და ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუ დამდგარა“, ამბობს ვასკა და ისიც გულმოდგინეთ აკეთებს იმ საქმეს, რომელიც დღეს მეტს სარფას იძლევა პირადობისათვის.

ტიტო განთიადს ნატრობს, ვასკა სიბნელის გაგრძობას სთხოვს ღმერთს; ტიტო იქ ხედავს ქვეყნის ხსნას, საცა ვასკას თვისი დასასრული ელანდება. პირველი იმის წამოყენებას ლამის, ვინც მეორეს მიწასთან გაუსწორებია; ერთი მეორის ნამოქმედარის წაშლას ლამის და ალბად მიზეზიც ის არის, რომ ეს ორი სხვა-და-სხვა გზით მავალი არსება ასე ამრეზით უყურებენ ერთმანერთს. დავანებოთ დროებით თავი ტიტოს და მივყვეთ ისევ ვასკას, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, მეტი საქმე გაუჩინა ჩვენმა ცხოვრებამ. ამის თავი მუდამ საგამცემლო პლანებს ამზადებს, ხელი სხვის ნაოფლარს ეპოტინება, გული შურის გების ზღვად გარდაჰქცევია, ენა სულ ამ ლოცვას იმეორებს: „ღმერთო, დააბრმავე მთელი სოფელი, რომ ლუკმა ცხვირ-წინ წავგლიჯოო“. ჰინჰყლიანს ამინდში ნაშობს, ჰინჰყლსა და კვიმატობაში გაზრდილს მყუდროება ეჯავრება და მის გვერდით რომ ვინმემ მოსვენებით ცხოვრება მოახერხოს, ისე არ დადგება, რომ სამ აბაზად ნაყიდის ცრუმორწმუნოების დახმარებით ოჯახში შფოთი და უბედურება არ შეუტანოს, ამის ფარსაგობას არავითარი შიში არ უღობავს გზას. ან-კი რის შიში უნდა ჰქონდეს? საბეჩავო იმისი საბეჩავო არის, რომ ვასკაპებური კაცი დაუსჯელად ივლის აქ დასაიქაოს თითონ ვასკამ არ იცის, რომელის სარწმუნოების კვალობაზედ მოსთხოვენ ანგარიშს. აქ იმისგან მართლ-მადიდებლობა მოითხოვა გარემოებამ და ისიც ქრისტიანად ითვლის თავს. ქრისტიანების ეკკლესიაში დადის, ქრისტიანულს უქმეებს ინახავს და არც ერთი მარხვა არ გაუტეხია. მაგრამ ხალხი-კი იმ აზრისა არის, რომ მამა მისმა ის მოუნათლავი დააგდოო, რადგან კარგად არ იცოდა, თუ რომელი სარწმუნოება უფრო ხელ-საყრელი იქნებოდა მისთვის დროსა და ვითარების მიხედვით. ვასკა ყველას არწმუნებს, ქრისტიანი ვარო, მეტრიკის მოწმობაც აქვს, მაგრამ ყველა ეჭვის თვალით უყურებს ამ საბუთის სინამდვილეს, რადგან ყოველ მისს ნაბიჯს, ყოველს მისს საქციელს უნათლავობისა და ურჯულობის კვალი ატყვია.

შუბნელი.

(დასასრული იქნება)

რა ეშველა-რა და მთავრობამ მაინც სისრულეში მოიყვანა თვისი გარდაწყვეტილება.

შემდეგ ქისტების გარდასახლებისა, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მყუდროება ჩამოვარდებოდა და მგზავრს მიეცემოდა შეძლება უშიშრად მგზავრობისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფრად გამართლდა ეს მოლოდინი და იგივე ავ-კაცობა მეორდება დღესაც. გველეთელი ქისტები ეხლა აქეთ აღარ სცხოვრობენ და, საკვირველია, ვინ არიან ჩამდენნი ამ ავ-კაცობისა?! დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს ახლად მომხდარს მაგალითს: ამ თვის 1, ნასადილევის 5 საათზედ, კავკავიდგან ტფილისს გაემგზავრნენ ერთის ,,ომნიბუსით'' ხუთნი: ერთი მასწავლებელი-ქალი და 3 მოსწავლე ტფილისის საქალებო ინსტიტუტისა და ერთიც სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა, ს. გ—ძე თათუზოვი. ,,ომნიბუსი'' ისეთი იყო, რომ მთელი ბარგი მგზავრებისა ჩაკრული იყო უკან, რაზედაც შეუძლებელია შიგ-მჯდომმა თვალ-ყური დაიჭიროს. სად. ყაზბეგში რომ მოსულან (ღამე ყოფილა), უნახავთ, რომ არც ერთის მგზავრის ბარგი აღარ არის; უეჭველია ვიღაც უცნობ ბოროტ-განმზრახველთ აუჭრიათ. რაღა თქმა უნდა, აქეთ-იქით სცემიან, მაგრამ კვალისთვისაც ვერ მიუგნიათ. ასე ხელ-ცარიელნი-კი დარჩენილან საბრალო მგზავრები! ამბობენ, მთელი თავიანთი ჩასაცმელ-დასახურავი თანა ჰქონდათო. კიდევ კარგი, თუ შეძლება ნებას მისცემს, რომ ახლები იყიდონ; მაგრამ ვინ უწყის, შეუძლიანთ თუ არა?..

სასურველია, ვიცოდეთ—გზის მმართველობა მოვალეა თუ არა, რომ აღმოუჩინოს შემწეობა დაზარალებულთ?

ბ. დ—ლი.

1895 წ. ქ. კავკავი.

## „უცნაურის შემთხვევის“ კორესპონდენტის საცნობლად.

პატივ-ცემულის გაზეთ ,,ივერიის'' № 145 ამა 1895 წლის ივლისის 11 ს კორესპონდენტი ,,ვინმე რაჭველი'' სწერს ვითომც ძველის-ძველი მრავალძლის წმიდის გიორგის ეკლესია, რომელიმე ვაჟბატონების დაუზოგაობით, ეხლა ხანს სულ ერთიანად დანგრეულიყოს და მის ნაცვლად ახალი შენდებოდეს მთავრობის ნება დაურთველად.

ეს ამბავი მართალი არ არის. მრავალძლის ეკლესია დიდდება, კეთდება ეპარქიის მთავრობის ნებართვით, არხიტექტორისაგან შედგენილისა და გუბერნიის სამმართველოს მიერ დამტკიცებულის გეგმისამებრ. დასამტკიცებლად ამისა, უკეთუ რედაქციისათვის საჭირო იქნება, მე ყოველივე მიწერ-მოწერის და საქმეების—ქაღალდების პირებს წარმოვადგენ.

შეკეთება და გადიდება აღნიშნულის ეკლესიისა არ არის დაწყებული სრულიად ძველის ეკლესიის დანგრევით და განადგურებით, როგორც კორესპონდენტი სწერს: ტაძარს აქვს გამოშლილი, პლანისამებრ დასავლეთის კედელი და იქიდამ ჯვარის სახეთ ახალი შენობა მოეწყო სიგრძით და სამხრეებით. რაიცა შეეხება ამა ეკლესიის აუცილებლად გადიდების საჭიროებას, ამის შესახებ მოგახსენებთ—ხალხის რწმენას და სიყვარულს იზიდავს ახლანდელი ეკლესიის წმიდა და მაღალი ადგილი; იმ სოფელში სხვაგან კიდეც რომ აშენებულიყოს კარგი და დიდი ეკლესია—რაიცა ადგილის შოვნით და სრულიად ახალის მთელის ეკლესიის აშენებით მრევლისათვის შეუძლებელი საქმე იყო—მაინც ხალხის სიყვარულისა და სასოების მოშორება ძველის ეკლესიის და მისის ადგილისაგან შეუძლებელი იყო, შეუძლებელი იყო ახალის ეკლესიის აშენება, წირვა-ლოცვის მოსპობა და ძველი ნაშთების და ხატების გადატანა ახალს ეკლესიაში! თუ გინდ ეს ასეც რომ არ იყოს და კორესპონდენტს რამეში ვერწმუნოთ, არასფერს შემთხვევაში არც მე და არც აღნიშნულის ეკლესიის მრევლს არ გვქონია სახეში ძველის ეკლესიის გადაკეთება ისე, როგორც დღეს მთავრობისაგან მოცემული პლანისამებრ კეთდება, არამედ ჩვენი სურვილი იყო მიგვედგას ჩრდილოეთის მხრით ძველი ეკლესიისათვის ახალი სამ კედლიანი შენობა, რომელთანაც იქნებოდა შეერთებული ძველი ეკლესია ორის პატარა კედელში გამოღებულის თაღით, სადაც შესძლებოდათ მლოცველთ დგომა, ვინაიდგან ძველს ეკლესიაში მეოთხედი მრევლისა ვერ ეტევოდა, მისის სიპატარავისა გამო. რომ ასეთის ჩვენის სურვილისა გამო არის მრევლისაგან დადგენილი ოქმი, უნდა დავსძინოთ: სიპატარავე ეკლესიისა მრავალ-ძლის სოფელში აუტანელი იყო, ვინაიდგან ეს სოფელი მდებარეობს მეტად მაღალს მთა-ადგილზედ, სადაც ეკლესიის გარეთ მლოცველთ დგომა არ შეეძლოთ სიცივის გამო, გარდა ზაფხულის ორის თვისა.

მართალი არის ქვები დაიკარგა, რომელზედაც, როგორც „ვინმე რაჭველი“ სწერს, მთავრობას აქვს ჩემ მიერ თავის დროზედ მოხსენებული, რომლის შესახებაც მთვრობა მიუდგომლად და დაუფარავად გამოარკვევს და გაათავებს საქმეს. მაშასადამე, კორესპონდენტს რაღა აწუხებს და აშფოთებს?!—უცნობი დაუფასებელი თვლები იმა ეკლესიაზედ არც ერთი არ არის და არც ყოფილა. ყოველივე აღნიშნულის ეკლესიის ქონება ძველ დროს კომისიისაგან ყოფილა შემოწმებული და 1879 წელს უწმიდესის სინოდის კანტორის მიერ დანიშნულის კომისიისაგან ხელ-ახლად შემოწმდა და აღიწერა ამა ეკლესიის ქონება, რომელს აწერილობაშიაც ცხადად და გაგებით არის ნაჩვენები ყველა ხატები, მათზედ თვლების რაოდენობა, ღირსება და სახელი. ცხადი არის, რომ ამ სიით ადვილი გასაგებია, თუ რომელი და რა ღირსების ქვა არის დაკარგული. დაკარგული არის ათი ცალი პატარა მარგალიტები, რომელთა მზგავსი კიდევ რამოდენიმე არის ხატზედ დარჩენილი, რომელთაგანაც დაკარგულების ფასის გაგება ადვილი არის. ეს არის და ეს მთელი ზარალი, რომელიც ეკლესიას მოუვიდა.

ბლაღოჩინი მღვდელი მიხეილ სხირტლაძე.

1895 წელი, აგვისტო 29

## რუსეთის ცხოვრება.

—

მეურნეთა მომავალ კრებაზედ, რომელიც მოხდება მოსკოვში, სხვათა შორის, განხილულ იქმნება პროექტი, რომელიც შეეხება ქალთა შორის სამეურნეო სწავლის გავრცელებას.

—

სასჯულო საქმეთა სამინისტროს უკვე დაუსრულებია პროექტი სისხლის სამართლის ახალის დებულებისა და გაუგზავნია სხვა სამინისტროებში განსახილველად. „მოსკოვსკ. ვედ.“ ამბობს, რომ ახალი პროექტი ძლიერ განსხვავდება ახლანდელს სისხლის სამართლის დებულებისაგანაო. ზოგიერთი მოქმედება, რომელიც ახლანდელს კანონმდებლობაში დანაშაულობად ითვლება, ახალში სრულიად არ არის მოხსენებულიო; შეცვლილია სასჯელთა სისტემა და თვით ხასიათიც; ბევრგვარი სასჯელი სრულიად უარყოფილიაო, სამაგიეროდ დაწესებულია ახალგვარი სასჯელი და სხვა...

—

მეურნეთა კრება, რომელიც ახლა პეტერბურგს არის მიწვეული, განიხილავს ძლიერ საყურადღებო პროექტს. პროექტი შემუშავებულია სამიწათ-მოქმედო სამინისტროს სამეურნეო საბჭოს მიერ და შეეხება საშუალო სამეურნეო სწავლას. განზრახულია დაარსება ახალის სისტემის სამეურნეო საშუალო სასწავლებლისა. სასწავლებელი რვა კლასიანი უნდა იყოს და სამეურნეო სწავლასთან ერთად საზოგადო საშუალო სასწავლებელთა პროგრამაც ექნება; მისაღები ეგზამენები ძლიერ ადვილი იქნება; კურს დასრულებულთ მიენიჭებათ იგივე უფლება, რომელსაც რეალური სასწავლებელი აძლევს და აგრეთვე მიეცემათ ნება უეგზამენოდ შესვლისა უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელში.

## უცხოეთი

—

**გერმანია**. მას შემდეგ რაც სოციალისტთა გაზეთის ,,Uorwäts''-ის რედაქტორი იმპერატორის ვილჰელმის საწინააღმდეგო წერილის დასტამბვის გამო დაატუსაღეს, ერთის კვირის განმავლობაში გაზეთს ექვსი ათასი ხელის მომწერი მიემატა: ამ დრომდე ჰყავდა 45 ათასი ხელის მომწერი, ახლა-კი 51 ათასი. გაზეთებს მოჰყავთ-რა ეს ამბავი, უმატებენ, რომ ეს კიდევ ერთი საბუთია იმ ჭეშმარიტებისაო, რომ სოციალისტებს დევნა და შევიწროება უფრო აძლიერებს და მომხრეებს უმატებსო.

—

**საფრანგეთი**. გაზეთი „ეკლერ“-ი ამბობს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორი მომავალ წელს მოსკოვს ჩამოვა ხელმწიფე-დედოფლის დაგვირგვინების დასასწრებლად. ამიტომ საფრანგეთის მთავრობას განუზრახავს უარი განუცხადოს ლონდონის ლორდ-მერს, რომელმაც ფორი ინგლისში დაჰპატიჟა, რადგანაც ფელიქს ფორს ჰსურს პირველი ვიზიტი რუსეთს გაუკეთოს.

—

**ბრაზილია**. აგერ ორ წელიწადზედ მეტია, რაც ბრაზილიის რესპუბლიკაში დიდი განხეთქილება და ბრძოლა არის. სამხრეთ ბრაზილიის ერთი პროვინცია, რიო-გრანდე დელსოლ, გადუდგა ბრაზილიის რესპუბლიკას და ცალკე შტატის დაარსებას ფიქრობდა. მრავალი სისხლი დაიღვარა ორივე მხრით, აუარებელი ფული დაიხარჯა და საზოგადოდ ბევრი იზარალა ქვეყანამ...

უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, რომ მთავრობა და აჯანყებულთა წინამძღოლნი შერიგებულან და ამნაირად ბრაზილიის რევოლიუცია მოსპობილად უნდა ჩაითვალოს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

აი, როგორ ახასიათებს გაზეთი „ნოვ. ვრ.“ სომხებს:

სომეხი არ არის კულტურული ერი. თუ ისინი «სინათლისაკენ იწევენ», ამ სინათლეს ისინი სხვა თვალით უყურებენ, ვიდრე ჩვენ. ინტელიგენტურ ხელობას სომხები ძლიერ ნაკლებად ეტანებიან და არცა აქვთ ამისი ნიჭი. მწერალი, მხატვარი, მემუსიკე მათში ძლიერ ნაკლებია. ბევრნი არიან მათში სპეციალურად მომზადებული მოხელენი, მაგრამ სახელმწიფო სამსახური მათ არ იზიდავს ისინი საზოგადოდ მისდევენ ვაჭრობას, მრეწველობას და მევახშეობას. საზოგადოდ სომხები მოუხეშავი და უმეცარი ხალხია. თუ ისინი ისეთივე ღარიბნი იყვნენ, როგორნიც ურიები არიან, აქ საკვირველი არა იქნებოდა-რა, მაგრამ ისინი სულაც ღარიბნი არ არიან. პირ-იქით სომხები შეძლებულნი არიან. ებრაელთა საზიზღარი თვისებანი ყველამ კარგად იცის, მაგრამ ებრაელი მევახშე ბევრითა სჯობია სომეხ მევახშეს. სომეხი არასოდეს რაიმე საქმეს არ დაიჭერს, თუ ნამდვილად დარწმუნებული არ არის, რომ ეს საქმე უეჭველად სარგებელს მოუტანს. „ჯვიბოძეთ ნივთი და წაიღეთ ფული სესხად“, ამბობს სომეხი. სხვა ვერას გზით ვერ გამოართმევ მას ფულს. ის მშრალია, გულცივი, მას ვერაფერი ვერ გაიტაცებს. არ შეეჭიდება სახიფათო საქმეს. ისინი შეკავშირებულნი არიან და დიდი სურვილი აქვთ თავისის ეროვნების დაცვისა. დიდი სურვილი აქვთ მოიპოვონ თავისუფლება, მაგრამ რომ ისინი ამ მდგომარეობიდგან გამოიყვანონ, მარტო „სიტყვები და მითქმა-მოთქმა ვერას გააწყობს. ისინი ანგარიშის ხალხია და აქაც ისე მოიქცევიან, როგორც ფულის გასესხებაში. მათთვის საჭიროა რაიმე რეალური, ნივთიერი ხელ-ჩასაჭიდი, მაგ., როგორც სომხეთის განთავისუფლება ოსმალეთში. აი ეს-კი მართლაც რომ შეიქმნება მიზეზი „სომეხთა მოძრაობისა“. მანამდის-კი ჩვენ შეგვიძლიან სრულიად გულ-დამშვიდებულებმა ვუყუროთ ჩვენს კარაპეტიჩ-პოღოსიჩებს.

—

სტამბულოვის ცოლი კვლავ ბრალსა სდებს ბულგარიის მთავრობას თავისის ქმრის მოკვლაში. აი რა უთქვამს მას ერთის გერმანელ კორესპონდენტისათვის:

მე ბრალსა ვდებდი პირველად ნაჩევიჩს, მაგრამ სტოილოვიც არ შემიძლიან გავამართლო. თუმცა ვერ გამიგია, რად უნდა ემოქმედნა მას ჩემის ქმრის წინააღმდეგ, რომლისაც იგი წინად მეგობარი იყო. ხოლო ნაჩევიჩის ამისთანა საქციელი-კი გასაკვირველი არ არის. მის წინააღმდეგ მისი წარსული ამბობს. ოთხის წლის წინად, როდესაც ბელჩევი მოკლეს ჩემის ქმრის გვერდით, ნაჩევიჩი მოვიდა ჩემთას და მთხოვა მიმეცა ზომა მისი პერანგისა, რომ ვენაში მისთვის ჯაჭვის პერანგი შეეკვეთნა. მე მივეცი ზომა და ორის კვირის შემდეგ მან მოიტანა ჩემის ქმრისათვის ჯაჭვის პერანგი. გამოცდამ დაგვანახვა, რომ ამ პერანგს რევოლვერის ტყვია ვერ ატანდა. მაგრამ რადგანაც ჩემს ქმარს არ უყვარდა იმისთანა ტანთ-საცმელი, რომელიც მას მოძრაობას დაუშლიდა, ამიტომ არ იცვამდა ამ პერანგს. რომ ჩემს ქმარს ჯაჭვის პერანგი ჰქონდა, ეს სამთ ვიცოდით: ნაჩევიჩმა, მე და ჩემმა ქმარმა. მაგრამ რომ სტამბულოვი ამ პერანგს არ იცვამდა, ეს-კი მარტო მე ვიცოდი. ჩემს ქმარს ტანზედ ერთი ჭრილობაც არა ჰქონდა, ის დაჭრილი იყო მხოლოდ თავში, აქედგან სჩანს, რომ მკვლელებს ეგონათ სტამბულოვს ჯაჭვის პერანგი ეცვა. განსაჯეთ თვითონ თქვენ.

განა ეს გასაკვირველი არ არის?

ეს ადგილი მოჰყავს გაზეთ „მოსკოვის ვედომოსტს“ და დასძენს, რომ ყოველს შემთხვევაში ნაჩევიჩი იძულებული იქმნება პასუხი მისცეს სტამბულოვის ქვრივსაო.

## წვრილი ამბები.

—

ჟურნალ „ნედელია“-ში მოყვანილია ერთი შემთხვევა, რომელიც ჰმოწმობს, რომ ხშირად ესრედ წოდებულ ინტელიგენტთა შორისაც ხდება იმისთანა ამბავი, რომელიც შეუგნებელთა შორის ბრიყვობასა და გაუნათლებლობას მიეწერება. ეს ამბავი რუსეთში მომხდარა. „მუსიკალურს საღამოზედ“ ერთი დამსწრეთაგანი, ქ ნ სობოლევისა, დამჯდარა თავისუფალს სკამზედ თავისის ამხანაგით. ცოტა ხნის შემდეგ მისულა მასთან ექიმი გალინი თავისის მეგობრით და მოუთხოვნია ქ ნ სობოლევისა სავარძლიდგან ამდგარიყო, რადგანაც რამდენისამე ხნის წინად თითონა მჯდარა ამ სავარძელზედ. ქ-ნ სობოლევისას ამ თავხედ თხოვნაზედ პასუხი მიუცია, რომ სავარძლებს ნომრები არ აწერია და ვისაც უნდა, ის დაჯდებაო. „მაშ, თუ ასეაო, დაუყვირნია ექიმს, მე თქვენ ისევე მოგექცევით, როგორც თქვენ მე მომექეცით“ და ქ ნ სობოლევისას მუხლებზედ დასჯდომია. ქ-ნ სობოლევისა დიდად შეძრწუნებულა, მაგრამ ბ-ნ ექიმს კვლავ უყვირნია, „გაჩუმდი, თორემ ყურებს დაგაგლეჯამო“. ქ ნ სობოლევისას გული შეუწუხდა თურმე. მაშინ ქალი რამდენმამე სტუდენტმა აიყვანეს და ისე უგრძნობლად გაიყვანეს გარეთ მოსაბრუნებლად.

ექიმს გალინს ამის გამო ორის კვირით დაპატიმრება მიუსაჯეს. გალინი თვით იყო დამცველად თავისის საქმისა და თავის გასამართლებლად შემდეგი სასაცილო აზრი წარმოსთქვა! სობოლევისამ წამართვა მე ადგილი. მე იძულებულ მყო უხეიროდ დავმჯდარიყავ და მევე მლანძღავდა. პასუხი რომ არ მიმეგო ამაზედ, ეს ხომ იმას ეგვანებოდა, „ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებასა“.

საკვირველია, ამისთანა ჭკუის ვაჟბატონები როგორ ჩაიგდებენ ხოლმე ხელში ექიმის დიპლომს?!

—

ყველაზედ მეტი მცხოვრები დედამიწის ქალაქთა შორის ლონდონშია, სადაც 4 მილიონ-ნახევარი მცხოვრებია; შემდეგ უმთავრესი ქალაქი პარისია, სადაც სცხოვრობს 2,350,000; ნიუ-იორკში—2,100,000: პეკინში 2,000,000; კანტონში 1,900,000; ბერლინში 1,350,000; ვენაში 1,200,000; პეტერბურგში 1,100,100; ტოკიო და ფილადელფიაში 1,000,000 და სხვა.

## სასამართლოს მატიანე.

—

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ამ მიმდინარე წლის დამლევს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ერთი დიდი საქმე თავადის ტ. ოთხ მილი-

ონის მემკვიდრეობის შესახებ. თავადი ტ. კავკასიაში დიდის მამულების პატრონია. მისი მამულები 198 ვერსის მანძილზეა გაშლილი, სწერს გაზ. „კავკაზ“-ი. 7 წლის მმართვის შემდეგ ბ-ნი ნ. სრულიად შეუძლებელი მოვალე გახდა, ხოლო წინად თავადთან ნამყოფს მილიონ ექვსას ათას მანეთის ვექსილები აქვს თავადის ტ.—სიო.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არის ეს თავადი ტ.!.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 სექტემბერი.

**პარიზი.** „ფიგარო“-ში სწერია, რომ გენერალს დრაგომიროვს დიდად მოსწონებია საფრანგეთის მხედრობა და იმ აზრისა არის, რომ იგი არც ერთს სახელმწიფოს მხედრობას არ ჩამოუვარდება. გენერალს სასაცილოდ მიაჩნია ის აზრი, რომ სანამ რუსეთი ლაშქარს შეჰკრებდეს და მიეხმარებოდეს საფრანგეთს, მანამდის გერმანია კიდეც დაამარცხებს საფრანგეთის ჯარს.

**ათინა.** სალონიკიდგან იუწყებიან, რომ მაკედონიაში ბულგართა ახალი გუნდი გამოჩნდა; ოსმალეთის მხედრობამ დაამარცხა ეს გუნდი და ტყვედ წაიყვანა 1 ოფიცერი და ექვსი ჯარის კაცი, რომელნიც, როგორც ფიქრობენ, ბულგართა ლაშქარს ეკუთვნიანო. დამარცხებული ბულგართა გუნდი ბულგარიაში შეეხიზნა.

**ბელგრადი.** ლიბერალთა კრებამ რისტიჩი თავისს წინამძღოლად აღიარა. რისტიჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა დიდი მნიშვნელობა სერბიის მომავალისათვის მაკედონიის ახლანდელ ამბებისა.

**სოფია.** გაზეთი „უფლება“ იუწყება: „26 აგვისტოს თავდასხმისათვის ოსმალებმა სამაგიერო გადაუხადეს ბულგარელებს იმით, რომ ბაშიბუზუკთა გუნდმა აოხრა და დასწვა დაბა ობიდიმ. მრავალი მკვიდრნი შეიქმნენ ბაშიბუზუკთა მსხვერპლად. გაძარცულია კიდევ 4 სოფელი. ტყვედ ჩავარდნილ აჯანყებულთ თავიდაჰკვეთეს. 13 კაცი, ფიშნი ვაშის ბრძანებით, მიიყვანეს სალონიკს და საშინლად აწამეს. 13 კაცის აჯანყებულთ თავის დაკვეთა სხვა წყაროებიდგანაც მტკიცდება.

**ლონდონი.** ფუკიენს აჯანყება მოხდა. აჯანყებულებმა ქალაქი დაიპყრეს. მთავრობა გაიქცა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარები გაგზავნეს.

**პეტერბურგი.** 5 სექტემბერს მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული მოვიდნენ ოდესაში, საიდგანაც ბათუმისკენ გაემგზავრნენ.

„ნოვ. ვრემ.“-ში დასტამბულია ამ გაზეთის თანამშრომლის დეპეშა, რომლით იუწყება, რომ იგი რომში მიიღო პაპიმ და ესაუბრა ეკკლესიათა შეერთებისა, სოციალიზმისა და პოლონელთა შესახებ. „პოლონელებმაო, სთქვა პაპიმ, უნდა იცოდნენ გარჩევა სარწმუნოებისა და პოლიტიკის შუა“. თანამშრომელი ინახულა აგრეთვე კარდინალმა რამპოლიმ.

**ასტრახანი.** გუშინ აქ გადიწვა 11 სახლი.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაპატიჟა თავ. ლობანოვ-როსტოვსკი, რომელიც ახლა კონტრექსევილში არის, მირკურში ალლუმზედ დასასწრებლად. თავადმა მიიღო დაპატიჟება და მიდის მირკურს ჰანოტოსთან ერთად.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის რუმინთა წარმომადგენელნი, რომელნიც მემორანდუმის გამო უნდა დაესაჯათ დიდის ხნით ციხეში დამწყვდევით, მეფის მიერ განთავისუფლებულ იქმნენ.

პეტერბურგის ბირჟა. 5 სექტემბერი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდვე-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| °/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | $213\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | $100\frac{1}{2}$ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | $96\frac{3}{8}$ | — „ |

**„ივერიის“ ფოსტა.**

**ოზურგეთს. თავ. ა. მ. გ—ლს.** ოთხი თვით გაზეთის ფასი 4 მ. 70 კ. და ქთვენ-კი ხუთს თვეს გეგზავნათ გაზეთი.


# განცხადებანი

## ნომრები „პარიჟი“

გოლოვინის პროსპექტი და კუთხე ჭავჭავაძის ქ. შესახვევისა კადეტთა კორპუსის პირდაპირ.

ფასები ნომრებისა დღე-ღამით: 50 კაპ. 3 მანეთამდე,—თვიურად 10 მან. 40 მანეთამდე.

სადგომი ხელ-ახლად შეკეთებული და მოწყობილია, ძალიან ხერხიანად გაწყობილი დროის მოთხოვნილების შესაფერად, აქვს ელექტრონის ზარები და სხვანი.

საჭმელები და საუზმეულობა მსურველთ შეუძლიანთ კერძოდ მოითხოვონ: თხოვნა მუდამ ასრულებული იქნება.

პატრონი დიმიტრი ხუნდაძე.
(8—1782—5)

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა. . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| III вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 50 |

## საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—1596—23).

## საპოკრეზოლი კელერისა

სითხე დეზინფექციის მოსახდენად;—შესდგება კარბოლის სიმჟავისა და ფისის საპნისაგან; კარბოლის სიმჟავისაგან იმითი განირჩევა, რომ უფრო ადვილად დნება; ამიტომ იგი უფრო ნაკლებია საჭირო, რისთვისაც საპოკრეზოლით დეზინფექციის მოხდენა შედარებით იაფად ჯდება, ვიდრე კარბოლის სიმჟავეთი.

ფისის საპონი აძლიერებს სადეზინფექციო თვისებას კარბოლის სიმჟავისას

და ჰსპობს ყოველგვარს ცუდს სუნს.

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

(2—28—1).

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)


Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Сентября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.